სარჩევი

ზოგადი ცნობები 3

ორგანიზაციული განვითარება 2007 წელს 4

პროგრამული პრიორიტეტები 4

საპროექტო საქმიანობა 4

მედია-მონიტორინგი, კონფერენციები, დისკუსიები, ტელედებატები, ტრენიგები 12

დანართი. კავკასიური ინსტიტუტის მიერ 2007 წელს განხორციელებული პროექტები 16

მისიის გაცხადება

ჩვენი საზოგადოება მეარ შშვიდობას, თავისუფლებასა და კეთილდღეობას ესწრფვის. ჩვენ გვჯერა, რომ ამ მიზნებს მივაღწევთ, თუ ჰატივს ვცემთ თითოეული ჩვენგანის თავისუფლებას და ჰიროვნულ ღირსებას, ჩამოვაყალიბებთ მრავალსახა და ენერგიულ სამოქალაქო საზოგადოებას, ხელს შევუწყობთ კონკურენტუნარიანი და გამჭვირვალე კერძო ბიზნეს-სექტორის, ასევე კანონის უზენაესობაზე დაფუძნებული, ქმედითუნარიანი და ანგარიშვალდებული სახელმწიფო ინსტიტუტების ფუნქციობას.

ჰოლიტიკური ერთიანობის მქონე ერად ჩამოყალიბება ჩვენი ეოფნა-არეოფნის საკითხია; ჩვენ ვესწრაფვით შევინარჩუნოთ კულტურული მრავალფეროვნება — ჩვენი ისტორიული მემკვიდრეობის განუეოფელი ნაწილი. ჩვენ მხარს ვუჭერთ ევროჰულ და ევრო-ატლანტიკურ სტრუქტურებში საქართველოს ინტეგრაციას, რაც ჩვენი საზოგადოების სტრატეგიულ მიზნად გვესახება; ამავე დროს, მიგვაჩნია, რომ სამხრეთ კავკასიის ქვეყნების შავი ზღვის ქვეყნებთან მჭიდრო თანამშრომლობას საგანგებო მნიშვნელობა აქვს ჩვენი რეგიონის განვითარებისათვის.

ამ მიზნების მისაღწევად ქართულმა საზოგადოებამ შეთანხმებული და თანმიმდევრული ჰოლიტიკური სტრატეგიები უნდა მოიმარჯვოს, გულწრფელად და კვალიფიცირად შეაფასოს თავისი მიღწევა-ნაკლოვანებები და საჯარო დებატები გამართოს ამ სტრატეგიათა და შეფასებათა ირგვლივ. დებატებში საზოგადოების სხვადასხვა ფენის წარმომადგენლები უნდა ჩაერთონ. ჩვენ გვჭირდება მაღალი ხარისხის დემოკრატია, როცა ადამიანებმა იციან, როგორ მიაღწიონ კონსენსუს და შეიწყნარონ განსხვავებული აზრი. ჩვენ სწორედ აქ ვაჰირებთ წვლილის შეტანას. ჩვენ მოვიჰოვებთ *ცოდნას* ჩვენი საზოგადოების შესახებ, ვაყალიბებთ იმის *ხედვას*, თუ რა არის საჭირო მის გასაუმჯობებებლად, და *ეკრებთ* ადამიანებს ჩვენი წინსვლის ჰირობების განსასჯელად.

მისამართი: მერაბ ალექსიძის ქუჩა №1, თბილისი 0193, საქართველო
სააბონენტო ყუთი 101, თბილისი 0108, საქართველო
ტელ: (995 32) 334081, ფაქსი: (995 32) 334163;
ელ-ფოსტა: info@cipdd.org; ვებ-გვერდი: www.cipdd.org

ზოგადი ცნობები

მშვიდობის, დემოკრატიის და განვითარების კავკასიური ინსტიტუტი (CIPDD) დაფუძნდა 1992 წლის აგვისტოში თბილისში. ინსტიტუტი არის არასამთავრობო და არასამეწარმეო ორგანიზაცია და არ უკავშირდება რომელიმე პოლიტიკურ პარტიას.

კავკასიური ინსტიტუტი საჯარო პოლიტიკის კვლევის ცენტრია; ის, ძირითადად, საქართველოში წარმართავს თავის საქმიანობას, თუმცა სამხრეთ კავკასიის და შავი ზღვა-ბალტიკის სივრცეზე მიმდინარე ერთობლივ პროექტებშიც მონაწილეობს. ინსტიტუტი ხშირად არის სხვა – ქართული თუ უცხოური – სამოქალაქო ორგანიზაციის პარტნიორი ან რომელიმე კოალიციის წევრი; ამასთან, თანამშრომლობს საქართველოს ხელისუფლებასთან, პოლიტიკურ პარტიებთან, საერთაშორისო და ადგილობრივ ორგანიზაციებთან.

კავკასიური ინსტიტუტი აწარმოებს კვლევებს და შეიმუშავებს რეკომენდაციებს საჯარო პოლიტიკის სფეროში, გამოსცემს პუბლიკაციებს შესაბამის თემებზე, აწყობს კონფერენციებს, მრგვალ მაგიდებს და საჯარო დისკუსიებს. ინსტიტუტი აგრეთვე ატარებს სასწავლო ტრენინგებს და სემინარებს თავისი კომპეტენციის სფეროებში.

კავკასიური ინსტიტუტი არ არის ნეიტრალური, პოლიტიკური ღირებულებების თვალსაზრისით: საჭიროების შემთხვევაში ის მონაწილეობს ლიბერალური დემოკრატიის მხარდამჭერ სამოქალაქო ინიციატივებში. ამ მიზნით ინსტიტუტი, ჩვეულებრივ, თანამოაზრე ინდივიდებთან და ორგანიზაციებთან შედის კოალიციაში.

ინსტიტუტის მუშაობას ზოგად ხელმძღვანელობას უწევს მისი თავმჯდომარე, გია ნოდია. მუდმივ ადმინისტრაციულ შტატს (ექვსი ადამიანი) ინსტიტუტის აღმასრულებელი დირექტორი, ავთანდილ ჯოხაძე უდგას სათავეში. ინსტიტუტის საპროგრამო საქმიანობას კოორდინაციას უწევს აღმასრულებელი საბჭო, რომელიც შედგება ინსტიტუტის თავმჯდომარის, აღმასრულებელი დირექტორის და პროექტების ხელმძღვანელებისაგან.

კავკასიური ინსტიტუტის სტრატეგიას განსაზღვრავს და საქმიანობას ზედამხედველობს გამგეობა, რომლის წევრებიც არიან:

- ია ანთაძე
- გიორგი გვახარია
- ირაკლი მჭედლიშვილი
- გიგა ზედანია
- მალხაზ სონღულაშვილი
- ემილია ხალილოვა
- ემზარ ჯგერენაია (თავმჯდომარე)

კავკასიური ინსტიტუტის ფინანსები

ინსტიტუტის საქმიანობა დონორების მხარდაჭერაზე, მისი თანამშრომლების, პარტნიორების და კოლეგების ენთუზიაზმსა და პასუხისმგებლობაზეა დამოკიდებული. მისი ფინანსების მხოლოდ უმნიშვნელო ნაწილი მოდის სხვა წყაროებიდან. ასეთია, მაგალითად, ინსტიტუტის გამოცემების გაყიდვით მიღებული შემოსავალი (ამ გამოცემების უმრავლესობა უსასყიდლოდ რიგდება).

2007 წელს ინსტიტუტის აქტივებმა შეადგინა 1 504 625 ამერიკული დოლარის ეკვივალენტი (2007 წლის აუდიტორული დასკვნა იხილეთ ინსტიტუტის ვებ-გვერდზე).

ორგანიზაციული განვითარება 2007 წელს

2007 წელს კავკასიური ინსტიტუტი ადრე შემუშავებული სტრატეგიული გეგმის თანახმად განაგრძობდა ინსტიტუციურ განვითარებას: ამოქმედდა ახალი ვებ-გვერდი (www.cipdd.org) და საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური; მოზიდულ იქნენ ახალი თანამშრომლები და გატარდა მათი პროფესიული სრულყოფის ღონისძიებები; გაფართოვდა ინსტიტუტის საპროექტო საქმიანობის მონიტორინგის და შეფასების სისტემა; აეწყო პარტნიორული ურთიერთობა ახალ საერთაშორისო და ადგილობრივ ორგანიზაციებთან, – ინსტიტუტი რამდენიმე საერთაშორისო ასოციაციაში გაწევრიანდა; ესენია: ღია საზოგადოების პოლიტიკური ასოციაცია (PASOS), რუსეთის და ევრაზიის უსაფრთხოების ქსელი (*RES*) და საერთაშორისო ურთიერთობების და უსაფრთხოების ქსელი (*ISN*); სამუშაო გარემოს გასაუმჯობესებლად შევიძინეთ ახალი ოფისი (წერეთლის გამზირი №72).

საზოგადოებრივი ორგანიზაციების II გამოფენა-ფორუმი, 4-5 მაისი, 2007

პროგრამული პრიორიტეტები

კავკასიურმა ინსტიტუტმა, როგორც საჯარო პოლიტიკის სფეროს კვლევითმა ცენტრმა, სტრატეგიული გეგმით მონიშნულ სამ ძირითად სფეროში განაგრძო საქმიანობა:

- პოლიტიკის შემუშავების და პოლიტიკური დიალოგის პროცესის განვითარება.
- სახელმწიფო მართვის და სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტების ხელშეწყობა მათი ქმედუნარიანობის ასამაღლებლად;
- ჭრელ ეთნოკონფესიურ გარემოში სამოქალაქო ინტეგრაციის პროცესის მხარდაჭერა.

საპროექტო საქმიანობა

2007 წლის განმავლობაში კავკასიური ინსტიტუტის საქმიანობამ მოიცვა:

1. საქართველოს დემოკრატიული განვითარების აუდიტი და პოლიტიკურ-სარეკომენდაციო დოკუმენტების შექმნა;
2. აღმოსავლეთ ევროპის პოლიტიკური გამოცდილების გადმოლება;
3. სახელმწიფო მართვის გაუმჯობესების და უსაფრთხოების პოლიტიკის ღონისძიებები;
4. ეთნო-უმცირესობების ინტეგრაციის ხელშეწყობა;
5. ზოგადსაგანმანათლებო სკოლებში რელიგიური ტოლერანტობის იდეის გავრცელება;
6. პოლიტიკური პარტიების ინსტიტუციურ განვითარებაზე ზრუნვა;
7. არჩევნების გამჭვირვალობის ხელშეწყობა;

8. საზოგადოების ხელისუფლებასთან დიალოგის წახალისება;
9. სამოქალაქო განათლება და სამოქალაქო საზოგადოების განვითარება;
10. სამოქალაქო ორგანიზაციებს შორის რეგიონული თანამშრომლობა.

1. საქართველოს დემოკრატიული განვითარების აუდიტი და პოლიტიკურ-სარეკომენდაციო დოკუმენტების შექმნა

ინსტიტუტის მიერ წამყვანი ექსპერტების ბაზაზე ჩამოაყალიბებულმა პოლიტიკის შემფასებელ ექსპერტთა საბჭომ 2007 წელს რამდენიმე შეხვედრა გამართა, რასაც მოკლე პოლიტიკურ-სარეკომენდაციო დოკუმენტების („policy brief") გამოცემა მოჰყვა. წლის განმავლობაში მომზადდა სამი ნარკვევი:

- *ქალაქ თბილისის განვითარება და კერძო საკუთრება;*
- *რას მოგვიტანს პრეზიდენტის ახალი ინიციატივა სამხრეთ ოსეთში?*
- *ბირთვული ელექტროსადგურის მშენებლობის პერსპექტივები საქართველოში.*

ნარკვევები გამოიცა ქართულ და ინგლისურ ენებზე და გავრცელდა ელექტრონულად. ამას მოჰყვა გამოხმაურება როგორც ადგილობრივ, ისე საერთაშორისო ორგანიზაციათა მხრიდან. მიმღებთა შორის იყვნენ: მთავრობის და პარლამენტის წარმომადგენლები, საერთაშორისო და ადგილობრივი ორგანიზაციები, მედია, პოლიტიკური პარტიები, ექსპერტები.

2007 წლის განმავლობაში კავკასიური ინსტიტუტი განაგრძობდა სამცხე-ჯავახეთში არსებული ვითარების ყოველთვიური ანგარიშების მომზადებას ეუთო-ს უმაღლესი კომისრის ოფისისათვის. ანგარიში რეგიონის პოლიტიკურ, სოციალურ-ეკონომიკურ და კულტურულ სფეროში მომხდარ მოვლენებს ასახავს და თორმეტი რეგიონული მონიტორის (კორესპონდენტის) მიერ მოწოდებული მასალების და ინსტიტუტში მომზადებული მედია-ანალიზის საფუძველზეა შექმნილი.

კავკასიური ინსტიტუტის დონორები

2007 წლის განმავლობაში კავკასიური ინსტიტუტის საქმიანობას მხარს უჭერდნენ შემდეგი დონორები:

- დემოკრატიის ეროვნული ფონდი (NED)
- ღია საზოგადოების ინსტიტუტის ბუდაპეშტის კვლევითი ცენტრების ფონდი (OSI Think Tank Fund)
- ჰოლონეთის განვითარების სააგენტო
- საარჩევნო სისტემების საერთაშორისო ფონდი (IFES)
- ევროკომისია
- ეუთო-ს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისი
- გაერთიანებული ერების ორგანიზაციის დემოკრატიის ფონდი (UNDEF)
- ჰოლანდიის საელჩო
- ეუთო-ს ეროვნულ უმცირესობათა უმაღლესი კომისარიატი (OSCE)
- დანიის დევნილთა საბჭო (DRC)
- ფონდი *ღია საზოგადოება – საქართველო*
- სამაუწყებლო კომპანია *რუსთავი-2*
- ტელეკომპანია *მზე*
- აჭარის ტელევიზია
- ფონდი *კორდეიდი* (Cordaid, ჰოლანდია)

2. აღმოსავლეთ ევროპის პოლიტიკური გამოცდილების შემოტანა

2007 წელს კავკასიურმა ინსტიტუტმა საჯარო პოლიტიკის სხვადასხვა სექტორში მოღვაწე ათამდე პირს მისცა შესაძლებლობა ჩაეტარებინა კვლევა შემდეგ სფეროებში: ჯანდაცვის პოლიტიკა, გენდერული დისკრიმინაცია, ევროპულ ინტეგრაციაზე მიმართული სახელმწიფო პოლიტიკა, ტრეფიკინგი. ყველა ამ თემაზე პოლონელი კოლეგების დახმარებით შეიქმნა პოლიტიკურ-სარეკომენდაციო განაცხადები. თითოეული მათგანი საჯარო პოლიტიკის ამა თუ იმ სექტორში რეფორმების განხორციელების პოლონურ გამოცდილებას განიხილავს. განაცხადები სპეციალურად ამ მიზნით მოწყობილ სემინარზე წარედგინა საზოგადოებას. მათ პრეზენტაციას მოჰყვა დისკუსია. განაცხადების ნახვა შესაძლებელია ინტერნეტ-საიტებზე www.cipdd.org და www.isp.org.pl

კავკასიური ინსტიტუტის პარტნიორი ორგანიზაციები

ქვემოთ ჩამოთვლილია ორგანიზაციები, რომლებთანაც კავკასიური ინსტიტუტი ერთობლივ პროექტებს ახორციელებდა 2007 წლის განმავლობაში:

- საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი (პოლონეთი)
- "ინტერ ნიუსი"
- სამოქალაქო ინტეგრაციის ფონდი
- გამომძიებელ ჟურნალისტთა ასოციაციის კვლევითი ცენტრი (სომხეთი)
- აზერბაიჯანის ჟურნალისტთა დაცვის კომიტეტი (აზერბაიჯანი)
- უსაფრთხო მსოფლიო (Saferworld, ბრიტანეთი)
- ნიდერლანდების მრავალპარტიული დემოკრატიის ინსტიტუტი (NIMD)
- ასოციაცია *სკოლა, ოჯახი, საზოგადოება*
- სამოქალაქო კულტურის საერთაშორისო ცენტრი
- სამოქალაქო ინტეგრაციის ფონდი
- საგანგებო პირობებში მომუშავე ჟურნალისტიკის ცენტრი (რუსეთი)
- ილია ჭავჭავაძის სახელმწიფო უნივერსიტეტი
- საქართველოს სტრატეგიული და საერთაშორისო კვლევების ცენტრი

კავკასიური ინსტიტუტის და ილია ჭავჭავაძის უნივერსიტეტის ერთობლივი ძალისხმევით საქართველოში მიმდინარე დემოკრატიზაციის პროცესზე საერთაშორისო ზეგავლენის კვლევის მეთოდოლოგია შემუშავდა.

3. სახელმწიფო მართვის გაუმჯობესების და უსაფრთხოების პოლიტიკის ღონისძიებები

საჯარო პოლიტიკის ანალიზის და პოლიტიკური დისკუსიის დონის ამაღლების მიზნით კავკასიურ ინსტიტუტში მოწვეულმა ექსპერტმა ტრენინგების მოდული, კონსპექტები და სხვა საკითხავი მასალა მოამზადეს, რითაც შემდეგ საჯარო პოლიტიკის სხვადასხვა სექტორის წარმომადგენლებმა უნდა ისარგებლონ. ჩასატარებელი ტრენინგების გეოგრაფია, დედაქალაქის გარდა, რეგიონებსაც – აჭარა, იმერეთი, შიდა ქართლი, სამცხე – მოიცავს. ტრენინგების მონაწილეები პოლიტიკური პრობლემების გაანალიზების და გადაჭრის სხვადასხვა მოდუსს შორის არჩევანის გაკეთების ტექნიკას გაეცნობიან.

ინსტიტუტის ბიბლიოთეკის და ვებ-გვერდის ბაზაზე უსაფრთხოე-

ბის პოლიტიკის მკვლევარებისათვის შექმნილი რესურს-ცენტრი ნებისმიერ დაინტერესებულ პირს აწვდის ინფორმაციას შეიარაღებაზე კონტროლის საერთაშორისო ხელშეკრულებების და ვალდებულებების შესახებ. მონაცემთა ელექტრონული ბაზა საქართველოში მოქმედ იმ კანონებს, მარეგულირებელ აქტებს და დოკუმენტებს მოიცავს, რაც შეიარაღებაზე კონტროლის და უსაფრთხოების პოლიტიკას ეხება.

უსაფრთხოების პოლიტიკის წარმართვის საკითხებზე 2007 წელს კავკასიურმა ინსტიტუტმა ჩაატარა კვლევა, რომელიც საფუძვლად დაედო დავით დარჩიაშვილის წიგნს *უსაფრთხოების სექტორის რეფორმა საქართველოში*. წიგნში დასკვნის სახით წარმოდგენილია რეკომენდაციები საქართველოში უსაფრთოების სექტორის დემოკრატიული კონტროლისა და მმართველობის გასაუმჯობესებლად.

უსაფრთხოების პოლიტიკის ხელშეწყობის მიზნით კავკასიურმა ინსტიტუტმა წლის განმავლობაში ეუთო-ს უმაღლესი კომისრის ოფისისათვის სამცხე-ჯავახეთის ვითარების ყოველთვიური ანგარიშის კორესპონდენტების კომპეტენციის ასამაღლებელი ღონისძიებები ჩაატარა.

2007 წლის განმავლობაში კავკასიურ ინსტიტუტში მიმდინარეობდა მუშაობა სამხრეთკავკასიელი ექსპერტების ქსელის შესაქმნელად, რაც მიზნად ისახავდა იძულებით გადაადგილებულ პირთა დაბრუნების პოლიტიკის ფასილიტაციას.

4. ეთნო-უმცირესობების ინტეგრაციაზე მიმართული ქმედებები

2007 წლის განმავლობაში კავკასიური ინსტიტუტი ახალი მეთოდოლოგიის გამოყენებით ახორციელებდა ქართული ენის სწავლებას ქვემო ქართლსა და ჯავახეთში. მომსახურების მიმღებები ადგილობრივი სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლები და ოფინიონმეიკერები იყვნენ. სწავლებამ ექვს თვეს გასტანა. პარალელურად მიმდინარეობდა ენის სწავლების მონიტორინგიც. მზადდება სავარჯიშოების წიგნი ქართულის შემსწავლელთათვის.

ჯავახეთის პრობლემებს და იქ მაცხოვრებელი მოქალაქეების ინტეგრაციას მიეძღვნა კავკასიური ინსტიტუტის მიერ ორგანიზებული ქართულ-სომხური ფორუმი სომეხი და ქართველი ექსპერტების მონაწილეობით.

კავკასიური ინსტიტუტი პარტნიორ ორგანიზაციებთან ერთად (სამოქალაქო ინტეგრაციის ფონდი /საქართველო/, გამომძიებელ ჟურნალისტთა ასოციაციის კვლევითი ცენ-

ჟურნალისტების რესურს-ცენტრის გახსნა, მარნეული, 24 სექტემბერი, 2007

ტრი „რეგიონი“ /სომხეთი/ და აზერბაიჯანის ჟურნალისტთა დაცვის ლიგა) წლის განმავლობაში სამცხე-ჯავახეთსა და ქვემო ქართლში დამოუკიდებელი მედიის ხელშეწყობისა და ამ გზით იქ მცხოვრები უმცირესობების სამოქალაქო ინტეგრაციის ღონისძიებებს ატარებს.

ჟურნალისტებისთვის გაწეული დახმარება რეგიონის პრობლემების ცენტრალურ მედიაში უკეთ წარმოჩენას განაპირობებს, ხოლო ადგილობრივ მოსახლეობას აწვდის უფრო სარწმუნო ინფორმაციას მათთვის საჭირბოროტო საკითხებზე.

5. რელიგიური ტოლერანტობის იდეის გავრცელება

2007 წლის განმავლობაში კავკასიურმა ინსტიტუტმა განაგრძო ზოგადსაგანმანათლებო სკოლების პედაგოგებისათვის რელიგიური ტოლერანტობის სწავლების პროგრამა, რომელსაც ის 2003 წლიდან ახორციელებს. 2007 წლის ოქტომბერ-დეკემბერში ამ სფეროში აქამდე გაწეული სამუშაოს და მიღწეული შედეგების კვლევა ჩატარდა. გამოკვლეულ იქნენ როგორც ის პედაგოგები, რომლებსაც 2005-2006 წლებში ჩაუტარდათ ტრენინგი *ვისწავლოთ და ვასწავლოთ რელიგიური ტოლერანტობა*, ისე ისინი, რომელთაც ტრენინგები არ გაუვლიათ. ამ ორი ჯგუფის შედარებითმა ანალიზმა საშუალება მოგვცა ტრენინგების სილაბუსის კორექტირება მოგვეხდინა.

ჟურნალისტების რესურს-ცენტრის გახსნა, ახალქალაქი, 25 სექტემბერი, 2007

6. პოლიტიკური პარტიების ინსტიტუციური განვითარება

საქართველოს პოლიტიკური ინსტიტუტების განვითარების პროგრამას კავკასიური ინსტიტუტი 2005 წლიდან ახორციელებს. პროგრამა პოლიტიკური პარტიების ორგანიზაციული მდგრადობის გაძლიერებას, პარტიების და მრავალპარტიული დიალოგის ხელშეწყობას გულისხმობს. ამ მიზნების მისაღწევად კავკასიურმა ინსტიტუტმა ექვს წამყვან პარტიას ჩაუტარა ნიდერლანდების ქრისტიან-დემოკრატიული პარტიის ტრენერების მიერ შემუშავებული სამი ტიპის ტრენინგი: „მოლაპარაკების უნარების განვითარება“, „ტრენერის უნარ-ჩვევები“, „ტრენინგის პროგრამის სცენარის გაწერა“. ამ დახმარების შედეგად პარტიებმა შეძლეს შემდგომში თვითონ ჩაეტარებინათ ტრენინგები საკუთარი პარტიების ცენტრალურ და რეგიონულ ოფისებში. ამავე პროგრამის ფარგლებში არაერთი სხვა ღონისძიებაც ჩატარდა: პოლიტიკური პარტიების შესახებ გამოქვეყნებული სტატიების მონიტორინგი ქართულ ბეჭდვით მედიაში, ინტერპარტიული დიალოგის განვითარებაზე მიმართული მრავალპარტიული კონფერენციები და სხვა.

2007 წლის 8-9 თებერვალს გამართულ მრავალპარტიულ კონფერენ-

მრავალპარტიულ კონფერენცია
ადგილობრივი პოლიტიკა,
28 მარტი, 2007

ციაზე, პირველად საქართველოში მოხდა ე.წ. „ხმამკვლევის“ პრეზენტაცია. „ხმამკვლევი“ ნიდერლანდების პოლიტიკური მონაწილეობის ინსტიტუტის მიერ შემუშავებული სისტემაა, რაც კონკრეტულ პრობლემურ საკითხებში ამომრჩევლების და პარტიების შეხედულებების ურთიერთშესაბამისობის მიღწევას გულისხმობს: პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლები ჯერ წინასწარ შედგენილ კითხვარს პასუხობენ; ამის შემდეგ იმავე კითხვარს ამომრჩევლებიც ავსებენ და სხვადასხვა პარტიის პასუხებთან მათი შეხედულებების შესაბამისობასაც თვალნათლივ ხედავენ. ეს მათ საშუალებას აძლევს „თანამოაზრე პარტია“ გამოარჩიონ. კონფერენციის მონაწილეები 2008 წლის საპარლამენტო არჩევნებისთვის ამ სისტემის საქართველოს სინამდვილეში დანერგვაზე შეთანხმდნენ.

7. არჩევნების გამჭვირვალობის ხელშეწყობა

2007 წლის ნოემბრის მოვლენებით გამოწვეული რიგგარეშე საპრეზიდენტო არჩევნების გამჭვირვალედ ჩატარების და მასზე საზოგადოებრივი მონიტორინგის განხორციელების მიზნით, კავკასიურმა ინსტიტუტმა პარტნიორ ორგანიზაციებთან ერთად (ილია ჭავჭავაძის უნივერსიტეტი, საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი, საქართველოს სტრატეგიული და საერთაშორისო კვლევების ფონდი) 2007 წლის დეკემბერში შეასრულა სამუშაოები 2008 წლის 5 იანვრის საპრეზიდენტო არჩევნების „ეგზიტ პოლის“ საქართველოს მასშტაბით ჩასატარებლად. კვლევაში ჩაებნენ საქართველოში მოქმედი მაღალი რეპუტაციის მქონე სოციოლოგიური სამსახურები, რომელთა მიერაც შემუშავდა სხვადასხვა კვლევითი ორგანიზაციის წარმომადგენლების ურთიერთკონტროლის სპეციალური ღონისძიებები. კვლევაში 800-ამდე ადამიანი მონაწილეობდა (581 ინტერვიუერი, 100 მაკონტროლებელი, ტელეფონის ოპერატორები, მძღოლები და სხვა). პროექტის მიმდინარეობას კონსულტაციას უკრაინის „დემოკრატიული ინიციატივების ფონდი“ უწევდა, ხოლო ეგზიტპოლების პროცესზე დაკვირვებას ამერიკელი, უკრაინელი და პოლონელი სპეციალისტების ჯგუფი ახდენდა.

მრავალპარტიული კონფერენცია
პოლიტიკური პარტიების სახელმწიფო დაფინანსება და ფინანსების მოზიდვა,
27 მარტი, 2007

8. საზოგადოების ხელისუფლებასთან დიალოგის წახალისება

მსუბუქი იარაღის გაუვრცელებლობის საინსტიტუტო პროექტს სამოქალაქო საზოგადოებასა და ხელისუფლებას შორის დიალოგის გააქტიურება მოჰყვა. პროექტი იარაღის გაუვრცელებლობის საკითხში ხელისუფლებასა და ხალხს შორის კონსენსუსის მიღწევას ესწრაფვოდა და არასამთავრობო ორგანიზაციების, უსაფრთხოების სფეროში მომუშავე კვლევითი ინსტიტუტების, თბილისის, თელავის და ქუთაისის უნივერსიტეტების სტუდენტების და ლექტორების, ჟურნალისტების, ხელისუფლების წარმომადგენლების (პარლამენტის წევრების, საგარეო საქმეთა, თავდაცის, ჯანმრთელობის დაცვის სამინიტროების, საბაჟოსა და საზღვრის დაცვის დეპარტამენტების თანამშრომლების) მონაწილეობით ხორციელდებოდა.

შემუშავდა სილაბუსი უმაღლესი სასწავლებელთათვის, რის საფუძველზეც თბილისის ჯავახიშვილის სახელობის, თელავის და ქუთაისის უნივერსიტეტების ლექტორებმა გამოხატეს ინტერესი, წაეკითხათ ლექციები მსუბუქი იარაღის გავრცელების შეზღუდვის თემაზე.

მრგვალი მაგიდა უსაფრთხოების საკითხებზე სამოქალაქო საზოგადოების ქსელის/სამუშაო ჯგუფის შექმნა, 2 მარტი, 2007

9. სამოქალაქო განათლება და სამოქალაქო საზოგადოების განვითარება

2008 წლის რიგგარეშე საპრეზიდენტო არჩევნების წინ სახელმწიფო მოწყობის სისტემებზე საზოგადოების ფართო ფენების ინფორმირებისა და მოსახლეობის გათვითცნობიერების მიზნით, 2007 წლის დეკემბერში კავკასიურმა ინსტიტუტმა საზოგადოებას ექსპერტული შეფასებები წარუდგინა და წამოიწყო დისკუსიები მოსახლეობის ფართო ფენების მონაწილეობით. ეს იყო პირველი ღია დებატები ეთნოუმცირესობების რეგიონში. ინსტიტუტის ექსპერტებმა ტრენინგები ჩაუტარეს რეგიონული ტელეკომპანიების ჟურნალისტებს და მოამზადეს წინაპირობები საინფორმაციო-სასწავლო შინაარსის გადაცემების შესაქმნელად; მონაწილეობა მიიღეს რეგიონულ ტელეკომპანიებში ჩატარებულ ოც ტელე-დებატში; მომზადდა 30 ადგილობრივი დამკვირვებელი არჩევნების მონიტორინგისთვის; რუსულად (ეთნოუმცირესობებისათვის გასაგებ ენაზე) ორიათასიანი ტირაჟით გამოიცა 'სამახსოვრო', სადაც ამომრჩეველთა უფლებები და საარჩევნო პროცედურებია განმარტებული.

2007 წლის განმავლობაში ტარდებოდა საქართველოს უსაფრთხოების სექტორის დემოკრატიული მმართველობის გაუმჯობესების ღონისძიებები სამოქალაქო საზოგადოების თანამონაწილეობით. კავკასიურმა ინსტიტუტმა ხელი შეუწყო უსაფრთხოების ეროვნული ქსელის შექმნას, რომელიც საქართველოს

ტრენინგი *მულტიკულტურული გარემო და ჟურნალისტიკა*,
მარნეული, 22-23 ივნისი, 2007

დედაქალაქსა და რეგიონებში მომუშავე სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტებისაგან შედგება. ქსელის მუშაობაში ჟუნალისტებიც ჩაებნენ. თბილისისა და რეგიონის სხვადასხვა გაზეთში დაიბეჭდა სტატიები, მომზადდა და ჩატარდა სატელევიზიო გადაცემები საქართველოში უსაფრთხოების სისტემის რეფორმების შესახებ.

სამოქალაქო საზოგადოების რეგიონებში განვითარების მიზნით, კავკასიურმა ინსტიტუტმა სხვადასხვა ადგილობრივ ორგანიზაციასთან კავშირში მედიის ხელშეწყობის ღონისძიებები ჩაატარა. ივნის-აგვისტოში ქვემო ქართლსა და ჯავახეთში პრობლემური საკითხების გამოსავლენი ანალიზი ჩატარდა, ხოლო ოქტომბერ-ნოემბერში მოეწყო დისკუსიები ადგილობრივი საზოგადოების წარმომადგენლებთან (თვითმმართველობები, არასამთავრობო ორგანიზაციები, სამეურვეო საბჭოები, მედია) პრობლემათა გადაჭრის გზების გამონახვის თაობაზე. დისკუსიებში 107 ადამიანი მონაწილეობდა.

კავკასიურმა ინსტიტუტმა დაიწყო ჯავახეთში მოქმედი სახელმწიფო, საერთაშორისო და ადგილობრივი პროგრამების კოორდინირების პროცესი, რაც 2008 წლის ზაფხულში სამოქალაქო ორგანიზაციათა რეგიონული ქსელის შექმნით უნდა დასრულდეს. ქსელი გააძლიერებს მოხალისეთა მოზიდვას და გააფართოებს სამოქალაქო განათლების პროგრამებს.

2007 წლის განმავლობაში კავკასიური ინსტიტუტის ძალისხმევით უმცირესობებით დასახლებულ რეგიონებში შეიქმნა ჟურნალისტების რესურს ცენტრები; სულ ოთხი ოფისი, სათანადო ავეჯითა და აღჭურვილობით. ოფისის ადმინისტრატორებს ჩაუტარდათ ოთხი ტრენინგი. ვებგვერდი www.caucasusjournalists.net უზრუნველყოფს რესურს-ცენტრების ქსელურ თანამშრომლობას.

მოსკოვურ ორგანიზაცია *საგანგებო პირობებში მომუშავე ჟურნალისტიკის ცენტრთან* ერთად კავკასიური ინსტიტუტი 2003 წლიდან ახორციელებს პროექტს *ქართულ-რუსული საინფორმაციო-ანალიტიკური ვებგვერდი* www.pankisi.info. პროექტი გულისხმობს ქართული პრესის მონიტორინგს, შერჩეული სტატიების რუსულ ენაზე თარგმნას, აგრეთვე ექსკლუზიური სტატიების შეკვეთას და საიტზე განთავსებას. საიტის თემატიკა რუსულ-ქართული ურთიერთობის მრავალ ასპექტს მოიცავს. საიტზე არის რუბრიკა: ქართული პრესა რუსეთის შესახებ.

10. სამოქალაქო ორგანიზაციებს შორის რეგიონული თანამშრომლობა

2007 წლის განმავლობაში ჩატარდა ორი რეგიონული შეხვედრა პარტნიორი ორგანიზაციების მონაწილეობით ბაქოდან (აზერბაიჯანის ჟურნალისტთა დაცვის კომიტეტი)

და ერევნიდან (გამომძიებელ ჟურნალისტთა ასოციაციის კვლევითი ცენტრი *რეგიონი*), ჩამოყალიბდა საგაზეთო კონსორციუმი, დაკვეთილ იქნა 37 სტატია კონსორციუმის წევრი გაზეთების მიერ, რაც გამოქვეყნდა კავკასიური ინსტიტუტის ვებ-ჟურნალში *სამხრეთ კავკასია* (http://www.caucasusjournalists.net/number.asp) რუსულ და ინგლისურ ენებზე. სტატიების 70% გამოქვეყნდა კონსორციუმის შესაბამის გაზეთებშიც.

გარდა ამისა, ჩატარდა ინტერაქტიული სატელევიზიო ტოკ-შოუები, რომლებიც ეთერში მე-2 არხითა და 19 ადგილობრივი ტელევიზიით გავიდა. ტოკ-შოუს ფორმატში განხორციელდა ინტერნეტული ინტერვიუებიც, გარედან შემოსულ კითხვებზე პასუხების სახით. ჩატარდა და ქსელის ვებ-გვერდზე განთავსდა ოთხი ინტერვიუ უმცირესობათა პრობლემების თაობაზე. ჩატარდა აგრეთვე ინტერნეტული ინტერვიუ სომხეთის დაშნაკების პარტი-

საჯარო პოლიტიკის ნარკვევები

ქალაქ თბილისის განვითარება და კერძო საკუთრება
დავით აფრასიძე
ქართულ და ინგლისურ ენებზე

რას მოგვიტანს პრეზიდენტის ახალი ინიციატივა სამხრეთ ოსეთში
დავით დარჩიაშვილი
ქართულ და ინგლისურ ენებზე

ბირთვული ელექტროსადგურის მშენებლობის პერსპექტივები საქართველოში
თამარ ჰატარაია
ქართულ და ინგლისურ ენებზე

მომზადდა და გამოიცა ქართული ენის სწავლების მეთოდოლოგიური *სახელმძღვანელო* (50 textbook) და ძირითადი თემატიკები (80 „ჰოსტერი“), რომლითაც ხელმძღვანელობენ ქართული ენის მასწავლებლები და ტრენერ-კონსულტანტები.

ის წარმომადგენელთან და ორი ინ-ტერნეტული დისკუსია მეზობელი ქვეყნებიდან მოწვეული ექსპერტე-ბის მონაწილეობით.

მედია-მონიტორინგი, კონფერენციები, დისკუსიები, ტელედებატები, ტრენიგები

2007 წლის განმავლობაში ხორცი-ელდებოდა ქართული ბეჭდვითი მე-დიის მონიტორინგი პოლიტიკურ პარტიებთან მიმართებაში. მონიტო-რინგის შედეგები აისახება ვებ-გვერ-დზე www.partiebi.ge. პრესის მონი-ტორინგი *ქართულ-რუსულ საინფორ-მაციო-ანალიტიკურ ვებ-გვერდზე* www.pankisi.info სტატიების განთავ-სების მიზნითაც ხორციელდება.

2007 წლის განმავლობაში, მრავალ-პარტიული დიალოგის ხელშეწყობის მიზნით, მოეწყო რამდენიმე *კონფე-რენცია*. კონფერენციის თემები შე-ირჩა სხვადასხვა პოლიტიკურ პარ-ტიასთან წინასწარი კონსულტაციი-სა და საკითხების აქტუალობის გათვალისწინებით. კონფერენციებს პარტიული ლიდერების გარდა ქარ-თველი და საერთაშორისო ექსპერ-ტებიც ესწრებოდნენ. კონფერენცი-ებზე ყურადღება პარტიების ინსტი-ტუციური განვითარების პრობლე-მასთან დაკავშირებულ საკანონმ-დებლო საკითხებს და ინიციატი-ვებს მიექცა; მოხდა გამოცდილების გაზიარება საერთაშორისო ექსპერ-ტების მიერ.

კავკასიურმა ინსტიტუტმა *უსაფრ-თხო მსოფლიოსთან* კონსულტაციი-ის საფუძველზე მოამზადა ერთდ-ღიანი საინფორმაციო *სემინარის* პროგრამა, რომელიც მიზნად ისა-ხავდა მსუბუქი იარაღის გავრცე-ლების პრობლემისა და მისი შეზ-ღუდვის საერთაშორისოდ აღიარე-ბულ საშუალებათა გაცნობას ფარ-თო აუდიტორიისათვის. პროგრამის საფუძველზე შესაძლებელი გახდა მოწყობილიყო *შეხვედრები* სამოქა-ლაქო საზოგადოების წარმომადგენ-ლებთან, რომელთაც გამოთქვეს დაინტერესება იმუშაონ ადამიანის უფლებების დაცვისა და სახელმ-წიფო უსაფრთხოების უზრუნველ-ყოფის საკითხებზე.

კავკასიური ინსტიტუტის ექსპერ-ტებმა რეგიონულ ტელეკომპანიებ-ში ჩატარებულ ათეულობით ტელე-დებატში მიიღეს მონაწილეობა, სა-დაც საუბარი მიდიოდა სახელმწი-ფო მოწყობის განსხვავებულ სის-ტემებზე. ექსპერტები პლებისციტზე დასმულ ორ კითხვასთან (განსა-კუთრებით, ნატოს-სთან) დაკავში-რებულ თემებზე საუბრობდნენ და პირდაპირ ეთერში პასუხობდნენ მოსახლეობისთვის საინტერესო კითხვებს.

ჩატარდა ორი ინტერნეტული *დის-კუსია* პარტნიორი ქვეყნებიდან მოწვეული ექსპერტების მონაწი-ლეობით. საქართველოს სხვადას-ხვა რეგიონში ჩატარდა კიდევ რვა დისკუსია რეგიონულ „ოფი-ნიონ-მეიკერებთან“ (თვითმმართ-ველობები, არასამთავრობო ორგა-ნიზაციები, მედია). 2007 წლის განმავლობაში ჩატარდა ინტერაქ-ტიული სატელევიზიო ტოკ-შოუე-ბი, რომლებიც ეთერში მე-2 არ-ხითა და 19 რეგიონული ტელე-ვიზიით გადაიცა.

განხორციელდა ინტერნეტული *ინ-ტერვიუებიც*, რომლებიც ქსელურ ვებ-გვერდზე:

პრეზენტაცია ალმანახისა საზოგადოება და პოლიტიკა №6, 12 ივნისი, 2007

http://www.caucasusjournalists.net/interviews.asp განთავსდა.

წლის განმავლობაში კავკასიურმა ინსტიტუტმა ექსპერტული მხარდაჭერა გაუწია რეგიონული ტელეკომპანიების ჟურნალისტების ტრენინგებს. ჩატარდა რვა ორდღიანი და ორი ერთდღიანი ხანგრძლივობის ტრენინგი.

ბიოლის ფონდთან ერთად ბაკურიანში ჩატარდა ექვსდღიანი ტრენინგი ჟურნალისტებისათვის.

2007 წლის 27-29 ივნისს მოეწყო სამდღიანი ტრენინგი ტრენერებისათვის – ქართულის, როგორც მეორე ენის, სწავლების იმ ახალ მეთოდიკაში, რომელიც პროფესორმა ალან კროუფორდმა (კალიფორნიის უნივერსიტეტი, აშშ) დაამუშავა. ტრენინგს დაესწრო 18 მონაწილე: 12 მასწავლებელი ოთხი რაიონიდან და ექვსი კონსულტანტი ასოციაციიდან *სკოლა, ოჯახი, საზოგადოება*.

ამავე წელს სამცხე-ჯავახეთში სიტუაციის ანალიზის კორესპონდენტების კომპეტენციის და მათ მიერ მოწოდებული მასალის კვალიფიკაციის ასამაღლებლად ჩატარდა სამი ტრენინგი კორესპონდენტებისათვის.

კავკასიური ინსტიტუტის გამოცემები 2007 წელს

საზოგადოება და პოლიტიკა №6
ქართულ ენაზე

გზეთები დედაქალაქის გარეთ
ქართულ და ინგლისურ ენებზე

პოლიტიკური პარტიების გზამკვლევი

პარტიები და თვითმმართველობა, №1
ქართულ ენაზე

პარტიული სისტემა საქართველოში, №2
ქართულ ენაზე

პოლიტიკური პარტიების დაფინანსება, №3
ქართულ ენაზე

დანართი

კავკასიური ინსტიტუტის მიერ 2007 წელს განხორციელებული პროექტები

საჯარო პოლიტიკის ანალიზის უნარის გაუმჯობესება
დონორი – დემოკრატიის ეროვნული ფონდი (NED)
მოცულობა – $ 45 495
ხანგრძლივობა – 1.10.2007-30.09.2008
კოორდინატორი – თამარ პატარაია
მიზანი – პოლიტიკური დისკუსიის პროფესიული დონის ამაღლება საჯარო პოლიტიკის სფეროში საფარო მოხელეების, ახალგაზრდა მეცნიერების, მედიის, პოლიტიკური პარტიების და სამოქალაქო ორგანიზაციის წარმომადგენლების შესაძლებლობების გაძლიერების გზით

ინსტიტუციური დახმარება
დონორი – ღია საზოგადოების ინსტიტუტის ბუდაპეშტის კვლევითი ცენტრების ფონდი (OSI Think Tank Fund)
მოცულობა – $ 60 300
ხანგრძლივობა – 1.12.2007-30.11.2008
კოორდინატორი – თიკო ტყეშელაშვილი
მიზანი – კავკასიური ინსტიტუტის ორგანიზაციული მდგრადობის და საქართველოში დემოკრატიული ტრანსფორმაციის მხარდაჭერა

სასტიპენდიო პროგრამა საქართველოს პოლიტიკის და საზოგადოებრივი აზრის შემმუშავებლებისათვის
დონორი – პოლონეთის განვითარების სააგენტო
მოცულობა – $ 9 575
ხანგრძლივობა – 1.10.2007-31.12.2007
პარტნიორი – საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი (პოლონეთი)
კოორდინატორი – გია გოთუა
მიზანი – სახელწიფოსა და არასამთავრობო ორგანიზაციებს შორის ურთიერთობების გაღრმავება; არასამთავრობო და სამთავრობო ინსტიტუტების დახმარება პოლიტიკის ანალიზის სფეროში

სატელევიზიო დებატები რეგიონებში – საპრეზიდენტო და საპარლამენტო მმართველობის ფორმები
დონორი: საარჩევნო სისტემების საერთაშორისო ფონდი (IFES)
მოცულობა – $ 20 000
ხანგრძლივობა 30.11.2007-31.01.2008
პარტნიორი – "ინტერ ნიუსი"
კოორდინატორი – ლია სანიკიძე
მიზანი – წინასაარჩევნოდ საზოგადოების ფართო ფენების ინფორმირება სახელმწიფო მოწყობის სხვადასხვა სისტემის თაობაზე, ამჟამად არსებული სისტემის ცვლილების შესაძლო იურიდიულ, პოლიტიკურ და ეკონომიკურ შედეგებზე

დამოუკიდებელი მედია სამოქალაქო ინტეგრაციისათვის
დონორი – ევროკომისია
მოცულობა – € 479 576
ხანგრძლივობა – 1.03.2007-28.02.2010
პარტნიორები – სამოქალაქო ინტეგრაციის ფონდი (საქართველო), გამომძიებელ ჟურნალისტთა ასოციაციის კვლევითი ცენტრი (სომხეთი), აზერბაიჯანის ჟურნალისტთა დაცვის კომიტეტი
დირექტორი – პაატა გურგენიძე
მიზანი – დამოუკიდებელი მედიის გაძლიერება საქართველოს რეგიონებში (ქვემო ქართლსა და ჯავახეთში) ადგილობრივი ჟურნალისტების ხელშეწყობის მეშვეობით

საქართველოს უსაფრთხოების სექტორის მართვის გაუმჯობესება სამოქალაქო საზოგადოების თანამონაწილეობის გზით
დონორი – ევროკომისია
მოცულობა – • 32 744
ხანგრძლივობა – 1.12.2006-1.12.2007
პარტნიორი – ბრიტანული არასამთავრობო ორგანიზაცია *უსაფრთხო მსოფლიო*
დირექტორი – თათა მახათაძე
მიზანი – დემკრატიული მმართველობის დამკვიდრების მიზნით საქართველოს უსაფრთხოების სექტორის ინსტიტუტების საქმიანობის გაუმჯობესება და მათი გამჭვირვალობის ხელშეწყობა

პოლიტიკური ინსტიტუტები საქართველოში
დონორი – ეუთო-ს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისი
მოცულობა – • 90 700
ხანგრძლივობა – 01.04.2007-31.01.2008
პარტნიორი – ნიდერლანდების მრავალპარტიული დემოკრატიის ინსტიტუტი (NIMD)
დირექტორი – ლია სანიკიძე
მიზანი – ქართული პოლიტიკური პარტიების და მრავალპარტიული დიალოგის ხელშეწყობა

ეთნიკური უმცირესობების მხარდაჭერა დემოკრატიული პოლიტიკური მონაწილეობისათვის
დონორი – გაერთიანებული ერების ორგანიზაციის დემოკრატიის ფონდი (UNDEF)
მოცულობა – $ 333 550
ხანგრძლივობა – 1.04.2007-31.12.2008
პარტნიორი – ასოციაცია *სკოლა, ოჯახი, საზოგადოება*; სამოქალაქო კულტურის საერთაშორისო ცენტრი; სამოქალაქო ინტეგრაციის ფონდი
დირექტორი – დავით ლოსაბერიძე
მიზანი – სამოქალაქო განათლების პროგრამის განხორციელება ეთნიკური უმცირესობებისათვის

ქართულ-სომხური ფორუმი ჯავახეთის საკითხებზე
დონორი – ჰოლანდიის საელჩო
მოცულობა – • 6 795
ხანგრძლივობა – 1.09.2007-31.03.2008
პარტნიორი – კავკასიის მედია, ინსტიტუტი (CMI, სომხეთი)
დირექტორი – გია ნოდია
მიზანი – ჯავახეთის სომხური მოსახლეობის ინტეგრაციის ხელშეწყობა

სიტუაციის ანალიზი სამცხე-ჯავახეთში
დონორი – ეუთო-ს უმცირესობათა კომისარი
მოცულობა – • 37 981
ხანგრძლივობა – 1.04.2007-31.03.2008
დირექტორი – გია ნოდია
მიზანი – დაძაბულობის პოტენციური კერების აღმოფხვრა სოციო-პოლიტიკური და კულტურულ-ეკონომიკური ვითარების მონიტორინგის და ადგილობრივი სამოქალაქო ორგანიზაციების ხელშეწყობის გზით

სამხრეთ კავკასიელი ექსპერტების ქსელი იძულებით გადაადგილებულ პირთა დაბრუნების პოლიტიკის ფასილიტაციისათვის
დონორი – დანიის დევნილთა საბჭო (DRC)
მოცულობა – • 24 990
ხანგრძლივობა – 1.01.2007-31.08.2007
დირექტორი – მალხაზ სალდაძე
მიზანი – იძულებით გადაადგილებულ პირთა მიმართ ხელისუფლების პოლიტიკის ფორმირების და განხორციელების ხელშეწყობა

ქართულ-რუსული საინფორმაციო-ანალიტკური ვებ-გვერდი
დონორი – ღია საზოგადოება – საქართველო
მოცულობა – $ 17 640
პარტნიორი – საგანგებო პირობებში მომუშავე ჟურნალისტიკის ცენტრი (მოსკოვი)
ხანგრძლივობა – 01.10.2007-30.09.2008
დირექტორი – თამარ შამილი
მიზანი – რუსეთში საქართველოს შესახებ ობიექტური ინფორმაციის გავრცელების ხელშეწყობა

ეგზიტპოლი 2008
დონორები – სამაუწყებლო კომპანია *რუსთავი-2*, ტელეკომპანია *მზე*, აჭარის ტელევიზია
მოცულობა – 52 576 ლარი
პარტნიორები – ილია ჭავჭავაძის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საზოგადოებრივ ურთიერთობათა ინსტიტუტი, საქართველოს სტრატეგიული და საერთაშორისო კვლევების ცენტრი
ხანგრძლივობა – 1.12.2007-1.02.2008
დირექტორი – გია ნოდია
მიზანი – რიგგარეშე საპრეზიდენტო არჩევნების გამჭვირვალობის ხელშეწყობა

ინსტიტუციური განვითარება 2007 – „ბრიჯი“ 3
დონორი – ფონდი *კორდეიდი* (Cordaid, ჰოლანდია)
მოცულობა – • 100 000
ხანგრძლივობა – 1.01.2007-31.12.2007
კოორდინატორი – ლევან აბაშიძე
მიზანი – კავკასიური ინსტიტუტის ორგანიზაციული განვითარების და რელიგიური ტოლერანტობის იდეის გავრცელება-ხელშეწყობა